



**განათლების  
ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრი**

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების  
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ერგეტის საბავშვო ბაღი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: *თეკლე კაპანაძე*

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: *ხათუნა მუჯავია*

კვების დარგში ექსპერტი: *ია იაკობიძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *ინგა კობახიძე*



## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი	420427023
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ერგეტის საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი <i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქ. ზუგდიდი, შ. რუსთაველის ქ., № 79
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი	მუნიციპალიტეტი ზუგდიდი, სოფელი ერგეტა



<i>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)</i>	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	<a href="http://www.zugdidikids.ge">www.zugdidikids.ge</a>
<b>3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ</b>	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) <input checked="" type="checkbox"/>	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) <input type="checkbox"/>
<b>4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ</b>	
ვიზიტის საფუძველი <i>(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)</i>	MES 5 26 0000312736 20/03/2026
ვიზიტის პერიოდი <i>(თარიღი)</i>	26-27 აპრილი
<b>5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)</b>	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

<b>6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ</b>	
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული <i>“ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი</i> “-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.	



N	პროგრამის სახე <sup>1</sup>	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ზავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში"	ქართული		30 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება <input checked="" type="checkbox"/> არ ეთანხმება <input type="checkbox"/>

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (20.03.2026, № MES 5 26 0000312736) და წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის საფუძველზე, დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი 2026 წლის 26-27 აპრილს განხორციელდა.

უშუალოდ ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად გაანალიზა დაწესებულების საავტორიზაციო განაცხადი და მასზე დართული დოკუმენტაცია. გარდა ამისა, ჯგუფის თავმჯდომარის ინიციატივით შეიქმნა დამატებით მოსაძიებელი დოკუმენტების სია, რომელიც ხარისხის ცენტრს გაეგზავნა. სამუშაო პროცესის დაწყებამდე ექსპერტებმა ასევე განსაზღვრეს შიდა კომუნიკაციის ფორმატი და დასკვნების ჩაბარების ვადები. რაც შეეხება უშუალოდ ვიზიტს, იგი დაწესებულების მხრიდან ეფექტურად იყო ორგანიზებული. ადგილზე მუშაობისას მოთხოვნილი ყველა დამატებითი დოკუმენტი დროულად იქნა წარმოდგენილი. ორდღიანი ვიზიტის მანძილზე ექსპერტებმა გამართეს შეხვედრები ავტორიზაციის პროცესში ჩართულ ყველა მნიშვნელოვან პირთან: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, მართვის ცენტრის

<sup>1</sup> აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

თანამშრომლებთან, გამგესთან, იურისტთან, ფინანსისტთან, მეთოდისტებთან, მედდასთან, სამუშაო ჯგუფის წევრებსა და საგანმანათლებლო-ადმინისტრაციულ პერსონალთან. ინტერვიუების მიზანს საავტორიზაციო სტანდარტებთან დაკავშირებული საკითხების შეფასება და დაზუსტება წარმოადგენდა.

ვიზიტის ფარგლებში, ჯგუფმა ასევე დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა, რათა პრაქტიკაში შეეფასებინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თავსებადობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დადგენილ საავტორიზაციო მოთხოვნებთან.

**8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

ერგეტის საბავშვო ბაღში ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნიეს ეზოში კურუკულუმის მიზნებისთვის მოწყობილი სივრცეები, კერძოდ თავიანთი რესურსებით აწყობილი სცენა ბავშვებისთვის, რომელიც შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ასევე, საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სივრცეები.

**9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა**

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.....

.....

.....

.....



## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
<b>ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა</b>		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
<b>ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა<sup>2</sup></b> <i>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა</i> <i>ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"</i> <i>სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში"</i>		
2. კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება

<sup>2</sup> ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება



## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

## 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1. დაწესებულების მისია

#### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი მოითხოვს, რომ დაწესებულებას გააზრებული ჰქონდეს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „აიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73242519811 ბრძანებით დამტკიცებული „აიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმა“, რომელშიც ვკითხულობთ მისიას: “დაწესებულების მისიაა უზრუნველყოს თამაშზე და შემოქმედებითობაზე დაფუძნებული უსაფრთხო, ინკლუზიური და ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი, მშობლებთან და თემთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს მულტიკულტურულ გარემოში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად ჩამოყალიბებას“;

ბაღი საკუთარ როლს განსაზღვრავს როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულ სივრცეს. უზრუნველყოფს უსაფრთხო, ინკლუზიურ, თამაშზე და შემოქმედებითობაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროცესს. აღნიშნავს მშობლებთან და თემთან თანამშრომლობას, როგორც ადგილობრივ სოციალურ კონტექსტს (მულტიკულტურული გარემო). მიზნად ისახავს ბავშვის სრულფასოვან, ჰოლისტურ განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, რაც ეროვნული სტანდარტების შესაბამისია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

### 2. დაწესებულების მისიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი მოითხოვს, რომ დაწესებულებას ჰქონდეს მისიისგან გამომდინარე ჩამოყალიბებული ხედვა და ღირებულებები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები რაც ჩანს „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N 873242519811 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

#### დაწესებულების ხედვა:

დაწესებულება აღიარებს და პატივს სცემს თითოეული ბავშვის უნიკალურობას; ის მიზანმიმართულად ქმნის გარემოს, სადაც ბავშვი სწავლობს თანაცხოვრებას მრავალფეროვან და ინკლუზიურ საზოგადოებაში, ავითარებს შემოქმედებით, კვლევით, სოციალურ და გარემოსდაცვით უნარებს, რაც ხელს უწყობს მის პასუხისმგებლიან და თვითმყოფად პიროვნებად ჩამოყალიბებას.“

#### დაწესებულების ღირებულებები:

დაწესებულების მისია, მიზნები და ამოცანები ეფუძნება შემდეგ ფასეულობებს:

1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა;
2. ინკლუზიურობა და თანასწორობა;
3. მშვიდობის კულტურა და მულტიკულტურული თანაცხოვრება;
4. აქტიური თანამშრომლობა მშობლებთან და თემთან ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის;
5. შემოქმედებითობა და ინოვაცია;
6. მდგრადობა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

ღირებულებები პირდაპირ გამომდინარეობს მისიისა და ხედვისგან და ასახავს როგორც ეროვნულ სტანდარტებს, ასევე ადგილობრივი კონტექსტის სპეციფიკას (მულტიკულტურული და საზღვრისპირა გარემო).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

ინდიკატორი ითხოვს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებით ცხადია, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N 873.242519813 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმაში“: „მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი“. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ამ მხარეების ჩამონათვალი. პროცესში ჩართული იყვნენ: („მუხლი 4. პროცესში ჩართული მხარეები“ ) ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები, ბაღის თანამშრომლები, მშობლები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, თემის წარმომადგენლები ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შესამუშველად შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფი რაც დასტურდება „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N873. 24251902 ბრძანებით: „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად დაწყებული საქმიანობის ფორმირების მიზნით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“. შესაბამისად, მიღებული მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს საერთო შეთანხმებულ ხედვას, რომელიც ასახავს როგორც საზოგადოების ინტერესებს, ასევე ბავშვის მრავალმხრივ განვითარების საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

#### **4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იყოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ხელმისაწვდომი იყოს საჯაროდ. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან რაც დასტურდება „აიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N873. 242519813 ბრძანებით - „აიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“. შიდა და გარე დონეზე: ინფორმაცია გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო შეხვედრების გზით დასტურდება „აიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N873. 242519813 ბრძანებით - „აიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ - კონკრეტულად „მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი - პუნქტი 4.“ განსაზღვრავს გაზიარების პროცესს. მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია და საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებ გვერდზე. ბაღმა წარმოადგინა 2025 წლის 27 ოქტომბრის ოქმი N4 მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნით ჩატარებული შეხვედრის ოქმი N4.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა

.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N 873. 242519811 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. ვებ-გვერდი: [www.zugdidikids.ge](http://www.zugdidikids.ge);
3. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N873.242519813 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
4. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N873.24251989 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმები;
5. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N873. 24251902 ბრძანება „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად დაწყებული სამიქნობის ფორმირების მიზნით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების მიზნით შეხვედრის 2025 წლის 27 ოქტომბრის ოქმი N4.



შეფასება:			
<b>1.1. დაწესებულების მისია</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა  
რეკომენდაცია

ინდიკატორი ითხოვს რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს: სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას; სტრატეგიული გეგმის შეფასების ფორმას და პერიოდულობას; სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმას და პერიოდულობას და ასევე, სამოქმედო გეგმის შეფასების ფორმას და პერიოდულობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოდგენილია „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N 873. 242519813 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (მუხლი 10. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია) დოკუმენტი მოიცავს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების (მუხლი 13. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება) მექანიზმებს.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მეთოდოლოგია - დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიად იყენებს SWOT ანალიზს, რომელიც გულისმხობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზს.

გაზიარების მექანიზმები განსაზღვრულია მე-6 მუხლით „დოკუმენტების გაზიარება“, რაც მოიცავს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს:

ა) მართვის ცენტრის ვებ-გვერდი;

- ბ) ელექტრონული ფოსტა;
- გ) სოციალური მედია;
- დ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ)
- ე) ელექტრონული პლატფორმები (მაგ. Zoom, Teams).
- ვ) სხვა

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი - შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც მეთოდოლოგია ფარავს არის გეგმების შემუშავების პროცესი. როგორც სტანდარტის ინდიკატორი ითხოვს, ეს პროცესი დაწესებულებაში ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დაწესებულებას პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს მე-7-ე მუხლის („მუხლი 7. პროცესის წარმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი“) მიხედვით შექმნილი ჯგუფი, რომლის წევრები განსაზღვრულია მეოთხე პუქტით. წევრების ჩამონათვალი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ა) გაერთიანების წარმომადგენლ(ებ)ი;
- ბ) გაერთიანებაში შემავალი ბალების წარმომადგენლები;
- გ) მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
- დ) თემის წარმომადგენელი;
- ე) ორგანიზაციის/დონორის წარმომადგენელი, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ბაღს; ვ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭოს წევრი;

დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N873. 24251902 ბრძანებით - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად დაწყებული სამიქნობის ფორმირების მიზნით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“. სამუშაო ჯგუფში იყვნენ როგორც ბაღის გამგეები, მშობლები, თემის წარმომადგენლები და ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. სტრატეგიული დაგეგმვა განხორციელდა თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დაყრდნობით, ჩატარდა შეხვედრა სადაც ადმინისტრაციის, პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა საბოლოო დოკუმენტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რჩევა

.....  
.....

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---

---

### 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ დაწესებულებას ჰქონდეს: უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული ციკლური, ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის შესაბამისობაში დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხუთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2030), რომელიც შემუშავდა და დამტკიცდა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი-ს“ დირექტორის მიერ 2025 წლის 17 ივლისის N 873.242519811 ბრძანებით, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, აღნიშნული დასტურდება ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანებით.

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან შესაბამისობაშია. დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმარების პროცესისას, როდესაც ხდება არებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, - ყოველთვის გასათვალისწინებელია მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები, რომლებთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს სტრატეგიული მიზნები და აქტივობები. სტრატეგიული გეგმის შექმნის პროცესში გამოყენებულ იქნა SWOT ანალიზი, რომელიც სისტემურად აანალიზებს დაწესებულების ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს. დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას აქვს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. მიზნები არის მისიასთან შესაბამისობაში, ხოლო ამოცანები მიზნების შესაბამისია. აქედან გამომდინარე დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს მიზნებთან შესაბამის აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები პირდაპირ ასახავს ბაღის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს:

1. უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა
2. გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა
3. პერსონალის პროფესიული განვითარება

4. თანამშრომლობა და კომუნიკაცია მშობლებთან და საზოგადოებასთან მშვიდობის და თანაცხოვრების კულტურის განვითარება თითოეული მიზანი მისიის პრაქტიკულ განშტოებას წარმოადგენს და ერთობლიობაში ქმნის ქმედით ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტიურ განვითარებას, ინკლუზიურობას, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, პროფესიონალიზმს და სათემო თანამშრომლობას. საბოლოოდ, სტრატეგიული გეგმა სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. არის გრძელვადიანი, ციკლური, მისია-ხედვა-ღირებულებებზე დაფუძნებული და შეიცავს მიზნებსა და მათ შესაბამის ამოცანებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ დაწესებულებას ჰქონდეს დაწესებულებას უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი, მორგებულია კალენდარულ წელს და ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, ასევე დაწესებულების თვითშეფასებას დაწესებულებას სამოქმედო გეგმა შედგენილი აქვს ერთ წლისთვის და ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე სტრატეგიული გეგმა. სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია - ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ საადმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №73. 24251989 ბრძანებით ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ საადმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ. ის აერთიანებს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საჭირო აქტივობებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში შესრულებადი და ემთხვევა კალენდარულ წელს (2026).

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ყოველწლიური თვითშეფასებიდან, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას როგორც გრძელვადიან მიზნებთან, ისე მიმდინარე საჭიროებებთან; აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან - არის ერთწლიანი, თვითშეფასებასა და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

#### რეკომენდაცია

##### რჩევა

დაწესებულებას თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 და 24 თვიანი. მათ შორის, იგეგმება ეზოს მოპირკეთება (ბეტონის საფარის შეცვლა) და კიბის მოაჯირის დამატება. ვინაიდან აღნიშნული საკითხი სცდება იმ სამოქმედო გეგმის არეალს, რისი შეფასებაც ვიზიტის დროს იყო შესაძლებელი, მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიულ გეგმაში ჩანდეს დაგეგმილი სამუშაოების ჩატარება. კერძოდ, სტრატეგიული მიზანი - უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა სასურველია მოიცავდეს ინფრასტრუქტურასა და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ ამოცანებს.

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი მოითხოვს, რომ დაწესებულებას ჰქონდეს სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები, რომლებიც შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რეალისტური ვადები. ასევე, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. დაწესებულებას სამოქმედო გეგმა შედგენილი აქვს ერთ წლისთვის. სამოქმედო გეგმა არის

ერთწლიანი და პირდაპირ ეფუძნება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს; აღნიშნული ინდიკატორი მიემართება დოკუმენტის შინაარსის შეფასებას და განსაზღვრავს მოთხოვნებს სამოქმედო გეგმის სტრუქტურისადმი. სამოქმედო გეგმა დაწესებულების მიერ

წარმოდგენილია ცხრილის სახით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N873. 24251989 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმები.“ სამოქმედო გეგმის შევსებული ველებია:

სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია სტრატეგიული მიზნები;

სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია ამოცანები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს დაწესებულება მიმდინარე წელს;

სამოქმედო გეგმაში მოცემულია კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს დაწესებულებამ განსაზღვრულ დროს. ეს აქტივობები ასახავს იმ ნაბიჯებს, რომელიც უნდა გაიაროს დაწესებულება ამოცანის შესასრულებლად.

ინდიკატორი არის გაზომვადი და ფორმულირებულია ხარისხობრივად/რაოდენობრივად.

სამოქმედო გეგმაში მითითებულია პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სრულდება კონკრეტული აქტივობა.

პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები - ყველა აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი და პასუხისმგებელი ერთეული.

რესურსი- განხილულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს აქტივობების შესრულებას. თითოეული მათგანს მიემართება ბიუჯეტი (მიმდინარე წლის).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ დაწესებულება ახდენდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდე საადმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №73. 242519813 ბრძანების მე-14 მუხლში - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდე საადმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ - მუხლი 14. „სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი“ წარმოდგენილია მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცესი, დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. ბრძანების მიხედვით სამოქმედო გეგმის მონიტორინგი დაგეგმილია აპრილის ბოლოს, ბაღმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანის შესასრულებელი აქტივობის - ჩატარებული შეხვედრების ფოტოები და დასწრების ფურცელი, რაც არის მტკიცებულება, რომ პროცესი ბაღში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შესაბამისად. შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ - მუხლი 15. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება)

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-13 მუხლში „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება“ განსაზღვრულია მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა. მეორე პუნქტის მიხედვით „სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (3 წელს) და ბოლოს.“ მეოთხე პუნქტში ვკითხულობთ „4. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად.“

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სტატუსის მაძიებელს ჰქონდეს ფორმის სახით და სახაროდ ხელმისაწვდომი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისთვის. დაწესებულება ხელმძღვანელობს მხოლოდ ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ საადმზრდელ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №73. 242519813 ბრძანებით დამტკიცებული - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ საადმზრდელ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით.“ აღნიშნული ბრძანების მე-15 მუხლში ვკითხულობთ, რომ კალენდარული წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 3 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. მართვის ცენტრი უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ. ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება მართვის ცენტრის ვებგვერდზე. ანგარიშ(ებ)ის გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება ამ წესის მე-6-ე მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს მზადდება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები აისახება ანგარიშში ყოველ მესამე წელს; ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას. წესში გაწერილია, რომ ანგარიშები გამოიყენება შემდგომი განვითარების პროცესში. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N873.242519813 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
2. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N 873. 242519811 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის N873. 24251902 ბრძანება „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად დაწყებული სამიქნობის ფორმირების მიზნით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის N873.2426029001 ბრძანებით დამტკიცებული ერგეტის საბავშვო ბაღის საბავშვო ბაღის გეგმა
5. ინტერვიუს შედეგები
6. სამოქმედო გეგმის გაზიარების მიზნით 2026 წლის 20 იანვრის შეხვედრის ოქმი N6

შეფასება:			
<b>1.2. სტრატეგიული განვითარება</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის ამსახველი დოკუმენტები :

1. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ,, ბრძანება ბ73.2425029001.- 29.01.2025. ( ბრძანება ბ73.24260223-22.01.2026- ცვლილება ბრძანებაში)

2. კურიკულუმის შერჩევის ოქმი N1 – 04.02.2025.

3. კურიკულუმის დირექტორთან წარდგენის ოქმი N 2 -12.02.2025.

4. კურიკულუმის ჯგუფის წევრებისთვის გაზიარების ოქმი N 3 – 25.02.2025.

5. ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ - ბრძანება:ბ73.24251983 - 17.07.2025.

( შენიშვნა: დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება ბ73.242507614 – 17.03.2025 , რომლის მიხედვითაც თავდაპირველად დამტკიცდა კურიკულუმი,მაგრამ გამომდინარე იქედან,რომ ბრძანებაზე დანართის სახით არ იყო მიბმული კურიკულუმი,მოხდა ხელახალი დამტკიცება : ბრძანება:ბ73.24251983 - 17.07.2025.)

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმებით - ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ (ნაწილი I და II) და სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“.

დაწესებულებამ წარმოადგინა აგრეთვე კურიკულუმის შერჩევის,შექმნის,გაზიარების,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი-ბრძანება:ბ73.24251994,18.07.2025.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს, წინასწარ არის შერჩეული.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი : ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ (ბრძანება: ბ73.24251983, 17.07.2025), რომლითაც ხელმძღვანელობს.

ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს. (პროგრამის ხარისხის სტანდარტი). განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული განვითარების თითოეული სფეროს და თემატური მიმართულების შედეგების მიღწევა კურიკულუმით არის შესაძლებელი.

სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც შექმნილია საქართველოს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვის მიზნით, მოიცავს სამ ძირითად დოკუმენტს. ესენია : სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი, აღმზრდელის სახელმძღვანელო (გზამკვლევი) და აქტივობების კრებული. სასკოლო მზაობის პროგრამა “ თამაში“ არის ბავშვზე ორიენტირებული, თამაშზე დაფუძნებული, რომლის მიზანია ბავშვის განვითარების ხელშეწყობა უკლებლივ ყველა სფეროში.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ (ბრძანება:ბ73.24251983,17.07.2025), რომლითაც ხელმძღვანელობს.

აღნიშნული კურიკულუმების განხორციელების უმთავრესი საშუალებაა თამაში. რაც უფრო მრავალფეროვან თამაშებს შესთავაზებს აღმზრდელი ბავშვებს სხვადასხვა მასალის გამოყენებით, მით უფრო მაღალი იქნება ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში და, ამავე დროს, ხელი შეეწყობა მათ ჰოლისტურ განვითარებას.

შერჩეულ კურიკულუმებში თამაში გამოიყენება, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო მეთოდი, რომელიც ავითარებს: სოციალურ და ემოციურ უნარებს; მეტყველებას და კომუნიკაციას; მეხსიერებას, ყურადღებასა და ლოგიკურ აზროვნებას; შემოქმედებით უნარებსა და თვითგამოხატვას.

შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ვლინდება კურიკულუმის პირველ პრინციპში: 1) ბავშვი ცენტრალური აქტორია თავის სწავლასა და განვითარებაში. ბავშვები სწავლობენ და ვითარდებიან, როცა აქტიურად არიან ჩართულები – იკვლევენ, აღმოაჩენენ, თამაშობენ, გამოცდილებას იძენენ,

კითხვებს სვამენ, ურთიერთობენ, რისკავენ. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს და თავს არ ახვევს, რა გააკეთოს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობას, ინტერესს, არჩევანს, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. ასეთი გამოცდილება ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ საკუთარი თავი, გარე სამყარო, გაიგონ თავიანთი ფიქრები, გაიცნონ სხვები, მაქსიმალურად გამოავლინონ პოტენციალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ (ბრძანება: 873.24251983, 17.07.2025), რომლითაც ხელმძღვანელობს.

კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან /თემთან თანამშრომლობას და ჩართულობას, რაც ვლინდება კურიკულუმის მე-8 პრინციპში: ოჯახებთან ურთიერთობით ბავშვებთან მუშაობა გაცილებით უფრო შედეგიანია. კარგი ბაღი ბავშვების განვითარებას და სწავლას ემსახურება, საუკეთესო კი ოჯახებს აძლიერებს. ასეთი პროგრამა მშობელს, ოჯახს პარტნიორად განიხილავს და მისთვის კეთილმოსურნე გარემოს უზრუნველყოფს. პატივს სცემს და ასახავს ოჯახურ ღირებულებებს, სთავაზობს ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა შესაძლებლობას. უზრუნველყოფს კომუნიკაციის ძლიერ სისტემას და ეხმარება ურთიერთობების დამყარებაში. გამოხატავს მზაობას, დაამყაროს



კავშირები ორგანიზაციებთან, რომლებიც ოჯახებს ემსახურება. ხარისხიანი პროგრამა აცნობიერებს, რომ ოჯახებთან პარტნიორობით მათი ბავშვებთან მუშაობა უფრო შედეგიანია.

კურიკულუმში მოცემულია ოჯახის მონაწილეობის სამი მიმართულება:

1. ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა.
2. ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტი ჩართულობა.
3. მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა“თამაში“(ბრძანება:ბ73.24251983,17.07.2025),რომლითაც ხელმძღვანელობს.

კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს,რაც ვლინდება კურიკულუმის შინაარსში.საგანმანათლებლო პროცესის შინაარსი შესაძლებლობას იძლევა, რომ ბავშვები მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობდნენ და სხვადასხვა რესურსის გამოყენების



საშუალება ჰქონდეთ. ამ მხრივ, თემატური მიმართულებები – ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება, – მრავალფეროვან გამოცდილებას ნამდვილად უზრუნველყოფს. კურიკულუმის საგანმანათლებლო რესურსი მრავალფეროვანია, გულისხმობს როგორც მზა, ისე - ბუნებრივ, ხელნაკეთ და მეორად მასალებს; საქმიანობები ხორციელდება როგორც დაწესებულების ტერიტორიაზე, ისე - მის გარეთ (ექსკურსიები, ლაშქრობები, სტუმრის ვიზიტები ბაღის სივრცეში და სხვა); თითოეულ ბავშვს შეუძლია ნებისმიერ საქმიანობაში ჩართვა და აქვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა;

კურიკულუმი ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს.ჯგუფის ფიზიკური გარემო,დღის განრიგი,გეგმის ფორმაში ინდივიდუალიზაციის გრაფის არსებობა იძლევა იმის საშუალებას,რომ აქტივობები დაიგეგმოს ასაკისა და განვითარების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა“თამაში“ ( ბრძანება:ბ73.24251983,17.07.2025), რომლითაც ხელმძღვანელობს.

კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (ბრძანება:ბ73.24251994 თარიღი:18/07/2025) და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,შეფასებისა და რესურსით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის (

(ბრძანება:ბ73.24251993 თარიღი:18/07/2025 ) ) თანახმად, კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, რაც დასტურდება ოქმი N 1-ით (კურიკულუმის პერსონალისთვის გაცნობის ოქმი N1 – 25.04.2025. )

კურიკულუმის გაზიარებისთვის დაწესებულება იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ (ბრძანება :ბ73.24260572. თარიღი:26/02/2026) წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

ყველა საადმინისტრაციო ჯგუფთან განთავსებულია საინფორმაციო დაფა,სადაც თავსდება მიმდინარე თემები/აქტივობები.

კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება ასევე სოციალური ქსელის საშუალებით :

<https://www.facebook.com/profile.php?id=61573891573076&sk=about>

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....  
რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დეკლარირებული კურიკულუმი-ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ( ნაწილი I და II ) და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“
2. „კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის „ - ბრძანება ბ73.2425029001.- 29.01.2025. ( ბრძანება ბ73.24260223-22.01.2026- ცვლილება ბრძანებაში)
3. კურიკულუმის შერჩევის ოქმი N1 – 04.02.2025.
4. კურიკულუმის დირექტორთან წარდგენის ოქმი N 2 -12.02.2025.
5. კურიკულუმის ჯგუფის წევრებისთვის გაზიარების ოქმი N 3 – 25.02.2025

- 6.. ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ - ბრძანება:ბ73.24251983,17.07.2025. ( ბრძანება: ბ73.242507614 – 17.03.2025 - თავდაპირველი დამტკიცების ბრძანება)
7. კურიკულუმის შერჩევის,შექმნის,გაზიარების,შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი-ბრძანება:ბ73.24251994,18.07.2025.
8. კურიკულუმის გაზიარების ამსახველი მასალა : ოქმი N1 ( 25.04.2025. )
9. ინტერვიუ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან

<b>შეფასება:</b>			
<b>2.1. კურიკულუმის დაგეგმვა</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: არსებობს მოკლევადიანი (დღის, კვირის) და გრძელვადიანი (თვის, კვარტლის, წლის) გეგმები.

სააღმზრდელო-საგანმანათლებლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე იგეგმება გრძელვადიანი სასწავლო პროცესი. ყოველი კვირის ბოლოს (აღმზრდელების პორტფოლიოს/ბავშვებზე დაკვირვების ჩანაწერების გადახედვის, ბავშვების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით) დგება მეორე კვირისათვის გეგმა.

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის,შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი(ბრძანება:ბ73.24251993 თარიღი:18/07/2025 -მუხლი 3 ),რომელშიც გაწერილია პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირად:

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომში - გეგმა/გეგმები).



2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი( ყოველკვირეული) და გრძელვადიანი( წლიური )და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

3. გრძელვადიანი გეგმები იქმნება გაერთიანების მმართველის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, დაწესებულების ხელმძღვანელი.( ბრძანება 873.2425122001 – 02.05.25.)

წარმოდგენილი მასალები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს გეგმა/გეგმების შემუშავების პრაქტიკა:

გრძელვადიანი (წლიური) გეგმა იქმნება ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ( ბრძანება 873.2425122001 – 02.05.25.) მიერ,რომლის შემადგენლობაში შედის საგანმანათლებლო პერსონალი,საბავშვო ბაღის გამგე.

მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან.  
(საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი- ბრძ.ბ73.24251993 – 18.07.25.-  
მუხლი 3)

მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები მტკიცდება მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ჯგუფის საჭიროებებს და ინტერესებს, ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, თამაშზე ორიენტირებულ პროცესს, სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობას და ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობებს. (დამტკიცებული ფორმები - ბრძ. ბ73.242609716 – 07.04.2026.)

დაწესებულების პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს მექანიზმში გაწერილი პროცედურების ცოდნას და პრაქტიკაში გამოყენების ვალდებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....  
რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- 1) დღის განრიგი
- 2) ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები .
- 3) აღმზრდელი პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო.
- 4) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
- 5) შემცველ-მასწავლებლის პორტფოლიო

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (ბრძ.ბ73.24251993 – 18.07.25) აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში იკითხება: შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები მოიცავს „ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს“.

ამავე წესის მე-7 მუხლში იკითხება, რომ ფიზიკური გარემოს მოწყობა ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- 1) დღის განრიგი
- 2) ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები .
- 3) აღმზრდელი პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო.
- 4) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო
- 5) შემცველ-მასწავლებლის პორტფოლიო.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ვლინდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (ბრძ.ბ73.24251993-18.07.25) აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში იკითხება: რომ შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები მოიცავს „ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს“. ამავე წესის მე-7 მუხლში იკითხება, რომ ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან, ინტერესებიდან, ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე.

იგივე წესის მე-4 მუხლი არეგულირებს ინდივიდუალიზაციის ასპექტებს.

ბავშვის ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები.

( დამტკიცებული ფორმები - ბრძ.ბ73.242609716 – 07.04.2026. - დანართი N 3 )

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**რეკომენდაცია**

**რჩევა**

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**



**5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები ,რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით (ბრძ.ბ73.24251993 -18.07.25)

აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი მოიცავს შემდეგ ასპექტებს: „გ-თამაშზე ორიენტირებული პროცესი“ და „დ-სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა“

დიდი და მცირე ტრანზიციების წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება დღის განრიგში, სივრცეებად დაყოფილ ჯგუფში, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი მასალის განთავსებით გარემოში, მოკლევადიან გეგმებში თამაშის ელემენტების გაწერით და აღმზრდელთან ინტერვიუთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ**

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, კერძოდ : დრამატული და წარმოსახვითი თამაში, მოძრავი თამაში, სენსორული თამაში, კონსტრუქციული თამაში, სამაგიდო და წესებიანი თამაში, შემოქმედებითი თამაში, კვლევითი თამაში, რისკიანი თამაში. აღნიშნული თამაშის ტიპები დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისია . ეს ყველაფერი ასახულია დღის გეგმებში, გარემოს ( შიდა და გარე სივრცეების) მოწყობაში. ინტერვიუს დროს აღმზრდელებმა აღნიშნეს, რომ აქვთ მზაობა და მოტივაცია, საგანმანათლებლო პროცესი თამაშის ელემენტებით წარმართონ. დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი : ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მთლიანად ეფუძნება თამაშს.

დღის გეგმაში ან/და რეგლექსიაში იკითხება ინდივიდუალურ და ჯგუფურ თამაშებში ყოველდღიურად ჩართვის შესაძლებლობები, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით (ბრძ.ბ73.24251993-18.07.25- მუხლი 3 ) . დღის გეგმაში ან/და რეგლექსიაში იკითხება შენობის შიგნით და შენობის გარეთ დაგეგმილ ან/და დაუგეგმავ თამაშებში ყოველდღიურად ჩართვის შესაძლებლობები, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით - (ბრძ.ბ73.24251993-18.07.25 -მუხლი 3 ) და გარემოს მოწყობის ამსახველი ფოტოსურათებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....

#### რეკომენდაცია

.....  
.....

#### რჩევა

.....  
.....

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....



## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბრძ.ბ73.24251993-18.07.25).

მე-6 მუხლით (საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება) წესში აღწერილია, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შექმნა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად:

- მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა ბალების მიხედვით
- შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბალების მიხედვით
- შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში / შესყიდვების განხორციელება
- შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა
- შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბალების მიხედვით
- შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში
- ხარჯვის აქტი / საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია

საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.

ამავე მუხლით დაწესებულება განსაზღვრავს რესურსების მოძიების ალტერნატიულ გზებს: რესურსების მოგროვება, დონაცია და რესურსების დამზადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი გათვლილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც რეგულირდება ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით (ბრძ. 873.24251984 – 17.07.2025. ) და ბრძანებით მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ ( ბრძ. 873.2426036001 – 05.02.2026.), რომელსაც დანართად ახლავს კურიკულუმის განსახორციელებლად საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა.

განსაზღვრული რესურსი არის დაწესებულების ბალანსზე, რაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით, ინვენტარიზაციის დოკუმენტით, წარმოდგენილი წიგნების აღრიცხვის ჟურნალით, ოთახის სათამაშოების აღრიცხვის ჟურნალით, მიღება/ჩაბარების აქტით (ელ.ზედნადები -0958415069 – 11.02.2026 , ელ-.ზედნადები-0968156342 – 27.03.2026. ელ.ზედნადები 0957362439 – 06.02.2026.).

წარმოდგენილ რესურსებში არ ფიქსირდება მხოლოდ მიკროსკოპი, რომელიც მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალის მიხედვით უნდა იყოს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (N 42 – 11 თებერვალი 2025 წ.) ხელშეკრულების მიხედვით რესურსების მიწოდება ხდება ეტაპობრივად 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

### 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

#### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: „ეს არის ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ეს არის მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადასხვა სივრცედ არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის. კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე, ფიზიკური გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, ისეთი მასალით აღჭურვილი, რომ ბავშვებს ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს, კითხვების დასმისკენ უბიძგოს, კვლევა წახალისოს, შემოქმედებითობას და მათ სოციალიზაციას შეუწყოს ხელი, ემოციური კომპეტენციები განუვითაროს, ჯგუფის ერთობას გაუსვას ხაზი, ბავშვებს შორის თანამშრომლობა წახალისოს. ამ კურიკულუმის მიხედვით, ეზოს ფიზიკური გარემო ისევე უნდა იძლეოდეს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების საშუალებას, როგორც ჯგუფის ოთახი. ბაღის ეზო აუცილებლად უნდა მოეწყოს ფუნქციურ სივრცეებად, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ, სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩაერთონ და განვითარდნენ.“

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების და გარე სივრცის/ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში:

საბავშვო ბაღის შიდა და გარე გარემო მარტივად აღქმადია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს, მიუხედავად სხვადასხვა უნარისა, საჭირო ინფორმაციის აღქმა მარტივად შეუძლიათ. ჯგუფებში წარმოდგენილია ვიზუალური დღის განრიგი. სივრცე ეფექტური და კომფორტულია ბავშვებისათვის. რესურსი ბავშვის სიმაღლეზეა განთავსებული. მასალები მარტივად ხელმისაწვდომია, ავეჯი ხის ფაქტურისაა. არის წიგნიერების, სამაგიდო თამაშების, წყნარი სივრცის, მეცნიერების, დრამატული, ხელოვნების ცენტრები (.ჯგუფის ფოტო/ მასალა). ცენტრებს აქვს შესაბამისი მინიშნებები.

დაწესებულებაში გარე სივრცე /ეზო ისე არის მოწყობილი, რომ ბავშვებს მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის საშუალება და სხვადასხვა უნარის განვითარების შესაძლებლობა აქვთ. ეზოში არის მინიშნებები, აბრები .ბაღის ეზო მოწყობილია ფუნქციურ სივრცეებად,

შესაბამისი ინვენტარით, მეორადი მასალებით და რესურსით, სადაც ბავშვები ადვილად ახდენენ ორიენტაციას და იციან სად იპოვონ ის, რაც სჭირდებათ. ეზოში არის ორი საქვიშე, ტალახის აბაჯანა, სენსორული ბილიკი, ხმაურიანი კედელი, სასრილო, ქოხი განმარტოებისათვის, ბოსტანი. მოწყობილია სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის სივრცეები. ეზოში არის სახელდახელოდ შექმნილი სცენა, სადაც ბავშვებს შემოქმედებითი უნარების გამოვლენის საშუალება ეძლევათ. ბავშვებს აქვთ საშუალება, ჩაერთონ მრავალფეროვან თამაშებში. ეზოს ფართი იძლევა საშუალებას, რომ ბავშვებმა დაუბრკოლებლად ირბინონ, ჩაერთონ მოძრავ თამაშში (დაჭერობანა, წრეში ბურთი, ფეხბურთი და ა.შ.) ასეთი ტიპის თამაშები ბავშვებს მსხვილ მოტორულ უნარებს განუვითარებს. ეზოში არის : ხის მაგიდები და სკამები, სადაც ბავშვებს შეუძლიათ დაკავდნენ ხელოვნების აქტივობებით.

აღნიშნული დასტურდება შიდა და გარე სივრცის ფოტო/მასალით და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით (ბრძ.ბ73.24251993-18.07.25 - მუხლი 7)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....

რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა

.....  
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....  
.....

## **2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისა და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად:

“ფიზიკური გარემოს ორგანიზებისთვის აუცილებელია, რესურსი კონტეინერებში ან სხვა სათავსოებში იყოს დახარისხებული, შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რათა ბავშვებმა იცოდნენ, სად დააბრუნონ მასალები. შერეულ ასაკობრივ ჯგუფში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტეინერებზე ვიზუალური მინიშნებების გაკეთება. საგანმანათლებლო რესურსის თაროებზე განლაგებისას, რესურსი სხვადასხვა დონეზეა: უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი რესურსი ქვედა თაროზეა განლაგებული, ხოლო ზედა თაროზე – შედარებით უფროსებისთვის განკუთვნილი მასალა. მნიშვნელოვანია, სპეციფიკური ნივთები, მაგალითად წვრილი კენჭები, ჩხირები და ა.შ. თქვენი მეთვალყურეობით გამოიყენონ. თუმცა, ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ჯგუფის ასაკობრივი მრავალფეროვნება და რესურსების შეტანისას, გვახსოვდეს უსაფრთხოების საკითხები.“

დაწესებულებაში მასალის და ნივთების გადანაწილება იძლევა საშუალებას, რომ ბავშვებმა ადვილად მოახდინონ ორიენტაცია, იცოდნენ და იპოვონ ის, რაც სჭირდებათ. თაროებზე არის იარლიყები, რაც ბავშვებს მიანიშნებს, სად რა მასალა და სათამაშო დევს. იარლიყზე გამოსახულია როგორც ნახატი, ასევე დასახელება. მასალები ლოგიკურად არის დაწყობილი შესაბამის ცენტრებში და ინახება დაბალ თაროებზე, რაც იძლევა რესურსების ხელმისაწვდომობის საშუალებას შეუზღუდავად, როგორც უფროსის მიერ ინიცირებული აქტივობების დროს, ასევე საკუთარი ინტერესების შემთხვევაში. საგანმანათლებლო რესურსის თაროებზე განლაგებისას, რესურსი სხვადასხვა დონეზეა გადანაწილებული.

ეზოში მოწყობილია სხვადასხვა სივრცე შესაბამისი ინვენტარით და რესურსით, რომელიც ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია და იძლევა საშუალებას, რომ ბავშვებმა ადვილად მოახდინონ ორიენტაცია სივრცეში.

დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში დიდი დოზით არის წარმოდგენილი ხელნაკეთი რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და ლოგიკურად არის განთავსებული შესაბამის სივრცეებში.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში და გარე სივრცეში არსებული საგანმანათლებლო რესურსის ორგანიზება კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ჯგუფურ ოთახსა და ეზოში გადაღებული ფოტო მასალით. აღნიშნული რეგულირდება საგანმანათლებლო პროცესის (კურიკულუმის) დაგეგმვისა და შეფასების წესით. (ბრძ.ბ73.24251993-18.07.25 - მუხლი 5)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....  
**რეკომენდაცია**  
.....  
.....

**რჩევა**

სასურველია, მინიშნებებზე გამოსახული წარწერები იყოს უფრო დიდი ზომის.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, დასვენებისა და განმარტოებისთვის.

ა) აქტიური და პასიური თამაშებისთვის -

ეს ვლინდება შემდეგში: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. თითოეული ცენტრი აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და ღია რესურსით. გარემოში წარმოდგენილია ცენტრები: მათემატიკის ცენტრი, დრამატული თამაშების ცენტრი, მეცნიერების ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, წიგნიერების ცენტრი, სამაგიდო თამაშების ცენტრი.

ბ) მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის -

ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფში განლაგებულია ბავშვის ზომის მაგიდები, რომლებიც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2 - 4 ან მეტი ბავშვის ერთობლივი მუშაობისათვის; ოთახი თემატურ ცენტრებადაა დაყოფილი, და ფართობი იძლევა დიდ ჯგუფებში მუშაობის საშუალებას ისე, რომ ავეჯის გადაადგილება არ არის საჭირო. ბაღში არის ასევე რესურს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით. მუსიკალური დარბაზის სივრცე იძლევა საშუალებას, ბავშვები დაკავდნენ სხვადასხვა ფიზიკური თუ შემეცნებითი აქტივობებით. დარბაზში არის პიანინო, მეორადი მუსიკალური საკრავები, ჩამოსაშვები ეკრანი.

გ) დასვენებისა და განმარტოებისთვის -

ეს ვლინდება შემდეგში: ყველა ასაკობრივ ჯგუფში არის წყნარი სივრცე გამოყოფილი ფარდით, ბალიშით. ბავშვებს შეუძლიათ არსებულ სივრცეში განმარტოება, თამაში .

ეს ყველაფერი დასტურდება ჯგუფების დათვალიერებისას გადაღებული ფოტო მასალით.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....  
.....  
რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

##### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ( ბრძანება :ბ73.24251993 – 18.07.2025 - მუხლი 8.) განსაზღვრავს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს .

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების შემდეგ მეთოდებს :

- ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
- ბ) მოკლე კითხვარები;
- გ) ცხრილები ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები;

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს აღნიშნული წესის მე- 8 მუხლის მე-5

პუნქტით დადგენილი სისტემით :

5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

- ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
- ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში
- გ)ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული,უწყვეტი პროცესია.

ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

დაკვირვებისა და შეფასების ფორმები დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით - ( ბრძანება :ბ73.242609716 – 07.04.2026.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში( ბრძანება :ბ73.24251993



– 18.07.2025 ) იკითხება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრული, კურიკულუმთან შესაბამისი პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს:

- ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას,
- ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში,
- გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

შეფასების ფორმები, რომლებსაც იყენებენ დაწესებულებაში, უზრუნველყოფს პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში.- ( ბრძანება :ბ73.242609716 – 07.04.2026.)

ეს ფორმებია :

- ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები (წარმოგენილი ფორმა მოიცავს ინფორმაციას ჩანაწერის გაკეთების თარიღის შესახებ, მოცემულია გრაფები დაკვირვების ჩანაწერისათვის, კომენტარებისათვის);
- ბ) მოკლე კითხვარების / ჩეკლისტების, ცხრილების გამოყენება (წარმოდგენილი ფორმა მოიცავს ინდიკატორებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს მიხედვით, ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად);
- გ) პორტფოლიოს წარმოება (პორტფოლიო მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის შეფასების ჩანაწერებს, ბავშვის ნამუშევრებს, ნამუშევრის ფოტოებს, ბავშვის ფოტოებს სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს);

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....

რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა



.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

### 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

„საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესის“ ( ბრძანება :ბ73.24251993 – 18.07.2025 ) მუხლი 8-ის მიხედვით, ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ და ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს;

შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდიფიცირებისთვის, რაც ვლინდება მოკლევადიანი გეგმების შედგენა ან /და მის კორექტირებაში ,ინდივიდუალიზაციაში.ინტერვიუს დროს აღმზრდელებმა აღნიშნეს ,რომ დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია ეხმარებათ სათანადო გადაწყვეტილების მიღებაში ,რაც გულისხმობს ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვას და მათი პროგრესის შეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....  
რეკომენდაცია



.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. აღნიშნული რეგულირდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით (ბრძანება :ბ73.24251993 – 18.07.2025 -მუხლი 9 ) ,სადაც იკითხება,რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის გაცნობას და ეს ხდება აუცილებლად ინდივიდუალურად.

აღნიშნული დაადასტურეს აგრეთვე აღმზრდელებმაც ინტერვიუს დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....  
რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი (ბრძანება :ბ73.24251993 – 18.07.2025)
2. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (ბრძ. ბ73.24251984 – 17.07.2025. )
3. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა ( ბრძ. ბ73.2426036001 – 05.02.2026.)
4. ბრძ.ბ73.242609716 – 07.04.2026. - დანართი N 3 - მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების ფორმების დამტკიცება.
5. ინტერვიუ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან.
6. მიღება/ჩაბარების აქტები ( ელ.ზედნადები -0958415069 – 11.02.2026 , ელ.-ზედნადები-0968156342 – 27.03.2026. ელ.ზედნადები 0957362439 – 06.02.2026.).

3.

<b>შეფასება:</b>			
<b>2.2. კურიკულუმის განხორციელება</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

2.3.

**კურიკულუმის შეფასება და განვითარება**

**2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა**

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის (ბრძ. ბ73.24251994 – 18.07.25.) მე-4 მუხლის თანახმად დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა შემდეგნაირად:

- კურიკულუმის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ.
- შეფასებას განახორციელებს ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ( ასეთი ჯგუფი ჯერ შექმნილი არ არის.)
- კურიკულუმის შეფასება ეფუძნება:
- საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას
- ფიზიკური გარემოს შეფასებას
- მშობლების უკუკავშირს
- პერსონალის თვითრეფლექსიას

აღნიშნული რეგულაციის არსებობა მიუთითებს, რომ დაწესებულება შემუშავებული სისტემის შესაბამისად გეგმავს კურიკულუმის შეფასების ციკლურ, სისტემატურ მოდელს, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანების მიერ დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესის“ (ბრძ. ბ73.24251994 – 18.07.25.) მეხუთე მუხლის თანახმად, დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში.

კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები და რეკომენდაციები. ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ან წერტილოვანი.

აღნიშნული ჩანაწერი მოწმობს, რომ დაწესებულება მიზნობრივად და სტრუქტურირებულად აფასებს კურიკულუმის შინაარსობრივ მხარეს, მის ეფექტიანობას და შემუშავებული აქვს მექანიზმები ცვლილებების დაგეგმვის, განხორციელებისა და დოკუმენტური გაფორმებისთვის. ინტერვიუს დროს საგანმანათლებლო პერსონალი (ადმინისტრატორები, მეთოდისტი) აღნიშნავს, რომ მათთვის კარგად არის ცნობილი კურიკულუმში ცვლილებების განხორციელების მექანიზმი და საფუძვლები, ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც თემატიკის, დღის განრიგის ან აქტივობების შინაარსის დონეზე, ასევე უფრო ფართო მასშტაბით - მაგალითად, ახალი კურიკულუმის დანერგვით. პერსონალი აცნობიერებს, რომ ასეთი ცვლილებები უნდა ეფუძნებოდეს შეფასების შედეგებს, დაკვირვებებს, მშობლების უკუკავშირსა და საკუთარ პრაქტიკაზე დაფიქრებას. ისინი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ ცვლილებების ინიცირებასა და განხილვაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



**დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი-ბრძანება: ბ73.24251994, 18.07.2025.
2. ინტერვიუ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან.

<b>შეფასება:</b>			
<b>2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>

**3. ოჯახისა და თემის ჩართულობა**

**3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა**

**3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის**

**1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია - საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი (ბრძანება ბ73.24260572 – 26.02.2026.) მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს. დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან და ოჯახთან/ კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას .

დაწესებულებამ წარმოადგინა ოჯახთან და თემთან ურთიერთობის კომუნიკაციის გეგმა 2025-2026წ ( ბრძ. ბ73.2426035001 – 04.02.2026) ,სადაც გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები /ღონისძიებები.

თემთან და ოჯახთან აქტიურ თანამშრომლობას მნიშვნელოვანი როლი აქვს დაწესებულების განვითარებისა და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის განვითარების პროცესში.



აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში (ბრძანება ბ73.24260572 – 26.02.2026.) იკითხება :  
„დაწესებულება წახალისებს ოჯახისა და თემის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. ჩართულობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს ღია კარის დღეებს, უზრუნველყოფს იდეების ყუთის ფუნქციონირებას, ასევე ორგანიზებას უწევს ექსკურსიებს, ლაშქრობებს და სხვა ერთობლივ საგანმანათლებლო აქტივობებს.“

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა ( ბრძ. ბ73.2426035001 – 04.02.2026), სადაც გაწერილია შემდეგი სახის აქტივობები:  
„ღია კარის დღე“, „ვიზიტი თემში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებაში (სამკერვალო, ამბულატორია, ბიბლიოთეკა, მაღაზია...), პროექტი „თევზები“, „ერთი დღე საბავშვო ბაღში-მშობელი ექსპერტის როლში“, სხვადასხვა პროფესიის ადამიანის მოწვევა საბავშვო ბაღში და სხვა...  
დაგეგმილი აქტივობები წახალისებს ოჯახისა და თემის ჩართულობას საბავშვო ბაღის ცხოვრებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



.....  
.....  
რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში (ბრძ. ბ73.24260572 – 26.02.2026 ) იკითხება, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები:

- პირისპირ შეხვედრები;
- დისტანციური შეხვედრები(მესენჯერი, ზუმი, იმეილი)
- საინფორმაციო დაფა;
- მატერიალური კორესპონდენცია;
- მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
- სატელეფონო ზარები;
- ელექტრონული ფოსტა;
- მართვის ცენტრის ვებ-გვერდი;
- მართვის ცენტრის სოციალური მედიის პლატფორმები( facebook);
- სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.



შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....  
.....  
რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა

.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი - ბრძანება ბ73.24260572 – 26.02.2026.
2. საკომუნიკაციო გეგმა - ბრძ. ბ73.2426035001 – 04.02.2026
3. ინტერვიუ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან.

<b>შეფასება:</b>			
<b>3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა</b>			
შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>



### 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

#### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს ოჯახის ცნობიერების ამაღლებას:

ბავშვის უფლებების შესახებ,  
ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ,  
ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ,  
ბავშვზე ძალადობისა და რეფერირების პროცედურების შესახებ ...

აღნიშნული დასტურდება ოჯახთან და თემთან ურთიერთობის საკომუნიკაციო გეგმით 2025-2026 წ ( ბრძ. ბ73.2426035001 – 04.02.2026),  
ინფორმაციის განთავსება ხდება როგორც საინფორმაციო დაფაზე,სოციალურ ქსელში,ასევე ტარდება პერიოდული შეხვედრები მშობლებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აწარმოებს ბავშვების შეფასებას და აქვს შეფასების შედეგები. დაწესებულებაში ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. მშობლები ინფორმირებული არიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ, რაც დასტურდება - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით (ბრძანება :ბ73.24251993 – 18.07.2025 ). მე-9 მუხლის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლების/კანონიერ წარმომადგენლისთვის გაცნობას . ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. აღნიშნული



რეგულირდება საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით (ბრძ.: ბ73.24260572 – 26.02.2026 ), მუხლი მე-3 „სამიზნე აუდიტორიის შერჩევა“ .

აღნიშნული წესის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში იკითხება, რომ საკომუნიკაციო არხების შერჩევისას დაწესებულება ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თემის სოციალური ჩვევებისა და გაერთიანების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. დაწესებულება აგრეთვე ითვალისწინებს სამიზნე აუდიტორიის (მათ შორის თემის) საჭიროებებს და მათი რესურსების (მათ შორის ფინანსური) გამოყენებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის ცვლილებას. აღნიშნული საკითხი რეგულირდება საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით (ბრძ.: ბ73.24260572 – 26.02.2026 ).

მე-6 მუხლის თანახმად, კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისთვის სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად ,დაწესებულება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

ა) კითხვარები

ბ) შენიშვნები/წინადადებების ყუთები



გ) ღია შეხვედრები,  
დ) კომუნიკაციის კონკრეტული არხით მოსარგებლეთა რაოდენობის მონიტორინგი.

ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს ე.წ., წინადადებების ყუთი” რომელსაც გამოიყენებს ოჯახთან და თემთან უკუკავშირისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი - ბრძანება :ბ73.24251993 – 18.07.2025
2. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი - ბრძანება: 73.24260572 – 26.02.2026
3. საკომუნიკაციო გეგმა - ბრძ. ბ73.2426035001 – 04.02.2026
4. ინტერვიუ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან



შეფასება:

**3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება**

შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input type="checkbox"/>
---	---	---	---

**4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა<sup>3</sup>**

**4.1. პერსონალის მართვა და განვითარება**

**4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

**1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

იმისათვის, რომ პერსონალის კუთხით უზრუნველყოფილი იყოს დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირება, დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს უნდა ჰყავდეს პასუხისმგებელი პირი, ამასთან ერთად ადამიანს შესაძლოა დაკისრებული ჰქონდეს რამდენიმე ფუნქცია, მთავარია ფუნქციების გადანაწილება რაოდენობრივად და შინაარსობრივად იყოს გამართული. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორგანოგრამა და საშტატო განრიგი.

ორგანოგრამის მიხედვით დაწესებულებაში დასაქმებულია 13 პირი:

საბავშვო ბაღის გამგე - 1

პირველი ცვლის აღმზრდელი - 2

მეორე ცვლის აღმზრდელი - 2

პირველი ცვლის აღმზრდელის თანაშემწე - 1

ბიბა - 3

დამლაგებელი - 2

მზარეული - 1

მზარეულის თანაშემწე - 1

<sup>3</sup> აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

საკონსულტაციო საბჭო (2026 წლის 20 თებერვლის ოქმი N1 საბჭოს წევრების არჩევის შესახებ).

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭროებებს. ცენტრს დასაქმებული ყავს ფსიქოლოგები, რომლებიც საჭიროებიდან გამომდინარე ჩაერთვებიან ბავშვების განვითარების პროცესში. მათან გასაუბრებით დადასტურდა, რომ აქვთ მჭიდრო კავშირი აღმზრდელებთან. ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამუშაო ადგილების აღწერილობა (2026 წლის რედაქცია) მოიცავს საბავშვო ბაღის აღმზრდელისთვის (I და II ცვლის) მიძის უფლებამოვალეობების შეთავსების საკითხები: „1.5 თუკი მიძას ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია ბავშვის ჰიგიენური სახის მოწესრიგება, ვალდებულია ჩაენაცვლოს თვითონ;“.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუთი და ერგეტის საბავშვო ბაღის 2026 წლის საშტატო განრიგით დასტურდება, რომ მუსიკის მასწავლებლის პოზიცია ვაკანტურია, ამ ეტაპზე აღნიშნულ ფუნქციას ითავსებენ აღმზრდელები. როდესაც მოხდება პოზიციის შევსება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირით, ორგანოგრამაში შევა ცვლილება და აისახება შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა საშტატო ნუსხა, სადაც მითითებულია დასაქმებული პირის გვარი, სახელი, თანანმდებობა, დასაქმებულის რაოდენობა, სახელფასო განაკვეთი და ხელფასი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**რეკომენდაცია**

.....  
.....

**რჩევა**

სასურველია, რომ საშტატო ნუსხაში დაემატოს დასაქმებულთა ფუნქციებიც.

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

.....  
.....

**2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორგანოგრამა. ფუნქციები თანხვედრაშია ბადის ყოველდღიურ პროცესებთან - საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ ნაწილში თითოეული საქმიანობა პასუხისმგებელ პირებზეა გადანაწილებული.

ა(ა)ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამუშაო ადგილების აღწერილობა (2026 წლის რედაქცია) მოიცავს დაწესებულებაში დასაქმებული პირების ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს. წარმოდგენილი ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**რეკომენდაცია**

.....

**რჩევა**

.....

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

.....

**3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა**

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების შემავალი საბავშვო ბაღების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია 2025 წლის 13 სექტემბრის ბრძანებით №73.24252869.

დოკუმენტი არ მოიცავს მუსიკის მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დოკუმენტში არ არის განსაზღვრული მოთხოვნები აღმზრდელ-პედაგოგის მიმართ.

კვალიფიკაციის მოთხოვნები არ არის შესაბამისობაში სხვა დოკუმენტებთან, კერძოდ პოზიციის დასახელება - საბავშვო ბაღის აღმზრდელის ასისტენტი - უნდა შეიცვალოს და სამუშაო ადგილების აღწერილობაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, პოზიციის დასახელებად მიეთითოს აღმზრდელის თანაშემწე;

გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ გამგის პოზიციაზე დაწესებულება აღიარებს მინიმალურ განათლებად უმაღლეს განათლებას და მასთან ერთად სავალდებულოა 66 კრედიტიანი ტრენინგ-მოდულის გავლა, რაც რეალურად დასტურდება პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით, თუმცა აღნიშნული არ არის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში.

დამლაგებლისა და მზარეულის დამხმარის პოზიციების პირად საქმეში არ არის განთავსებული ატესტატი.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პირადი საქმეებით. მათ გავლილი აქვთ ასევე 66 საათიანი ტრენინგ-მოდული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

#### რეკომენდაცია

იმისათვის, რომ სტანდარტის კომპონენტი სრულად დაკმაყოფილდეს და დაწესებულების დოკუმენტები მოვიდეს შესაბამისობაში, რეკომენდირებულია, რომ ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შევიდეს ცვლილება, აღმზრდელის ასისტენტის პოზიციის დასახელებად მიეთითოს აღმზრდელის თანაშემწე. საკვალიფიკაციო მოთხოვნებში კი უნდა დაემატოს მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე დასაქმებული პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები საქართველოს მთავრობის დადგენილება N478-ის შესაბამისად.

#### რჩევა

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება გეგმავს აღმზრდელ-პედაგოგის სამტატო ნუსხაში დამატებას, სასურველია საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასევე გაიწეროს აღნიშნულ პოზიციაზე დასასაქმებელი ადამიანების საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც საქართველოს მთავრობის დადგენილება N478-ის შესაბამისად. სასურველია, რომ პერსონალის პირად საქმეებში არსებული დანიშვნის ბრძანებები განახლდეს პოზიციების განახლებული დასახელებების შესაბამისად.

#### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რის მიხედვითაც 4 მოხდება მუსიკის მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, ბრძანებაში ცვლილების შეტანა, აღმზრდელ პედაგოგის სტატუსის მისანიჭებლად კომისიის შექმნა, კანდიდატების გადარჩევა, კომისიის მიერ დასკვნის დადება, აღმზრდელ პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება და შეფასება შეიცვალა მეტწილით.

#### 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ ბავშვთან მომუშავე პერსონალს ჰქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია და აღნიშნული დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით. დაწესებულებას 2026 წლის 31 მარტს შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი - ბრძანება N 873.2426090001 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღებში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის დამტკიცების შესახებ (სსდმ ცენტრის წესდების 4 მუხლის საფუძველზე). აღმზრდელისა და მედდასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათ აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. პირადი საქმე მოიცავს ტრენინგის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატებსაც.

2026 წლის 4 მარტის ბრძანებაში N 873. 2426063001 მუხლი 20.9 და მუხლი 20.13 აღნიშნულია, რომ როგორც პერსონალმა, ასევე აღმზრდელებმა უნდა იცოდნენ იმ სიტუაციების ამოცნობა, როდესაც აუცილებელია გადაუდებელი დახმარება, თუმცა არ არის აღნიშნული, რომ უნდა იცოდნენ ამ სიტუაციებში დახმარების აღმოჩენის სტრატეგიები. ვერ ვნახეთ ჩანაწერი პირველადი დახმარების ტრენინგის სერტიფიკატის ვადებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

---

### რჩევა

ვინაიდან პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა (გულ-ფილტვის რეანიმაცია და სხვა უნარები) პერსონალის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი არ არის, მნიშვნელოვანია, რომ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები დაწესებულების თანამშრომლებს ჩაუტარდეთ 2 წელიწადში ერთხელ, პედაგოგიური (2 წლიდან) მულაქების გამოყენებით და ეს აღნიშნული იყოს ან პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დოკუმენტში, ან პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტებში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმში გაჩნდეს ჩანაწერი მაგ.: „როგორც პერსონალმა, ასევე აღმზრდელებმა უნდა იცოდნენ იმ სიტუაციების ამოცნობა, როდესაც აუცილებელია გადაუდებელი დახმარება და შეეძლოთ ამ სიტუაციებში დახმარების აღმოჩენის სტრატეგიები“. ასევე სასურველია, რომ მიძის პოზიციაზე მომუშავე პერსონალმა გაიაროს პირველადი დახმარების ტრენინგი.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

2026 წლის 4 მარტის ბრძანებით №73.24260632 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდე სადამრეწველო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი სკოლამდელი აზღვის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცების შესახებ 2025 წლის 17 ივლისის №73.24251982 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ცენტრის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. დამტკიცებულია ასევე შინაგანაწესი. აგრეთვე იდება შრომითი ხელშეკრულებები. ამ დოკუმენტებით ხორციელდება პერსონალის მართვა. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს მართვის ზოგად წესებს, პროცესებს და შესაბამისია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

დაწესებულების შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალის ქცევას, დისციპლინის, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების წესს; აღნიშნული დოკუმენტების არსებობა და გამოყენება უზრუნველყოფს სამართლებრივად გამყარებულ და სტრუქტურირებულ მართვის პროცესებს, აყალიბებს გამჭვირვალე და თანმიმდევრულ სამუშაო გარემოს, რაც აუცილებელია როგორც ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, ასევე ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პერსონალთან. აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს (გეგმის შედგენა, რესურსების მოპოვება, აქტუობების დაგეგმვა, მშობლებთან შეხვედრების დაგეგმვა და სხვა.). გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ კვირის განმავლობაში აღმზრდელები სარგებლობენ არასაკონტაქტო ერთი საათით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელ დაწესებულების მართვის ცენტრში კონკრეტულ პოზიციაზე თანამშრომლის დანიშვნა ხორციელდება როგორც კონკურსის გზით ასევე პირდაპირი დანიშვნით. პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე. პირი

დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით ან კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე. ღია კონკურსი ცხადდება დაწესებულებაში პერსონალის ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში. ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად მართვის ცენტრის დირექტორის მიერ იქმნება შესაბამისი კომისია. ასევე შესაძლებელია გამოცხადდეს დახურული კონკურსი. ამ შემთხვევაში პერსონალის შერჩევის დროს, დაწესებულება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობას. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება თანამშრომლის პირად საქმეში.

ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის 2026 წლის 4 მარტის ბრძანება N 873. 24260632 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 17 ივლისის N 873.24251982 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ მოიცავს პერსონალის მარეგულირებელ დოკუმენტს, სადაც გაწერილია კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესი. თავი 3 მუხლი 9. “ დაწესებულების პერსონალის შერჩევა

1. პირი დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით ან კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გზებით დანიშვნისას დაწესებულებაში დაცულია ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პარამეტრები.
3. შერჩევის ეტაპზე დაწესებულება ეყრდნობა ამ კონკრეტული პოზიციისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობას.“

ღია კონკურსი იძლევა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მონაწილეობისა და თანაბარ პირობებში კონკურენციის შესაძლებლობას, რაც გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას უწყობს ხელს. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მიერ იქმნება შესაბამისი კომისია. შესაბამისი კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორი ბრძანებით, იქმნება საპრეტენზიო კომისია. კომისია უზრუნველყოფს ვაკანტურ პოზიციებზე საუკეთესო კანდიდატთა შერჩევას.

დახურული კონკურსის შემთხვევაში შერჩევა ეფუძნება ვაკანტური პოზიციის სამუშაო აღწერილობას. კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფს მართვის ცენტრის დირექტორის მიერ შექმნილი შერჩევის კომისია, რაც კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხი განხილულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-18-ე მუხლით „ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია“. წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის/ადაპტაციის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია სამუშაო გარემოსთან სწრაფი და ეფექტიანი ჩართვის ხელშეწყობაზე. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

- ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;
- ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;
- გ) ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
- დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
- ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;
- ვ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;
- ზ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გამგე და აკადემიური გუნდის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებაში აქტივობები იგეგმება თანამშრომლების ჩართულობით, გუნდურობით და ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების გზით. ბაღში არის მეგობრული და კოლეგიალური გარემო თანამშრომლებს შორის. დაწესებულება თავისი საქმიანობის პროცესში ეფუძნება თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს. საგანმანათლებლო პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს კოლეგებთან, პრაქტიკანტებთან, აძლევს მათ პროფესიულ რეკომენდაციებს. თანამშრომლებსა და კოლეგებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, კონფიდენციალურობას და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ გუნდურობა და თანამშრომლობა გამოიყენება როგორც პროფესიული გამოცდილების გაზიარების რეალური მექანიზმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



#### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

##### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულების მართვის ცენტრის 2026 წლის 4 მარტის ბრძანების - N873. 24260632 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 17 ივლისის N 873.24251982 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ - მიხედვით, დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის პროცედურები. დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც შესრულებული სამუშაოს ანალიზს, ასევე ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, რაც სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის წესის „მუხლი 19. შესრულებული სამუშაოს შეფასება“.

„1. დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

2. დაწესებულების მიერ განხორციელებული შეფასების პროცესის მხარეები არიან შესაფასებელი პირი, შემფასებელი პირი და დაწესებულების ხელმძღვანელი.

3. შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი, გარდა (იმ თანამშრომლისა რომელიც 3 თვეზე ნაკლებია მუშაობს და ტექ.სამუშაოებისათვის დაქირავებული პერსონალი).

4. დაწესებულების შეფასების სისტემა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგი ასპექტების შეფასებას:

- ა) უნარები;
- ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
- გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
- დ) სამუშაო გარემო ;
- ე) კარიერული განვითარება ;
- ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
- ზ) აღიარება და მოტივაცია;
- თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
- ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

5. დაწესებულების მიერ, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ასპექტების შეფასება, ასევე საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება შემდეგი მეთოდ(ებ)ის გამოყენებით:

- ა) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
- ბ) თვითშეფასება;
- გ) გასაუბრება;

6. შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპებია:

- ა) დაგეგმვა;
- ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;
- გ) შედეგების ანალიზი“

შეფასებას ექვემდებარება დაწესებულების ყველა თანამშრომელი, გარდა იმ თანამშრომლისა რომელიც 3 თვეზე ნაკლებია მუშაობს. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაწესებულების პერსონალის ხელშეკრულებები დადებულია 1 თვის ვადით. აღნიშნული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმის წესსაც. საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა გამოყენებულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის რაც დასტურდება იმავე წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

იმისთვის, რომ პროფესიული განვითარება პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის შესაბამისად მარტივი გზით დაიგეგმოს და განხორციელდეს, სასურველია რეკომენდირებულია თანამშრომლების ხელშეკრულებები გაფორმდეს უფრო ხანგრძლივი ვადით. მნიშვნელოვანია შეფასების ფორმა შედგეს ბალის უშუალო ხელმძღვანელისთვის და მოიცავდეს ინდიკატორებს. თანამშრომელთა შეფასების მექანიზმს უნდა იცნობდეს საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი.

### რჩევა

სასურველია თვითშეფასებისა და თანამშრომლების მიერ ერთმანეთის შეფასების კომპონენტებიც იყოს გათვალისწინებული.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რის მიხედვითაც 12 თვის ვადაში მოხდება კომისიის შექმნა, თანამშრომლების შეფასება, განხორციელება ახალი, გრძელვადიანი ხელშეკრულებების დადება და სათანადო გარემოს შექმნა პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმის სრულყოფილად მუშაობისთვის. ექსპერტთა ჯგუფი ვერ იზიარებს დაწესებულების არგუმენტს ხარვეზის გამოსწორების 12-თვიან ვადასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველ რიგში, დაწესებულების პრაქტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მოთხოვნებს. ვინაიდან საადმინისტრაციო საქმიანობა არ ატარებს დროებით ან სეზონურ ხასიათს, 1-თვიანი ხელშეკრულებების გაფორმება მოკლებულია კანონიერ საფუძველს. კანონმდებლობის მოთხოვნით, ასეთ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობა ავტომატურად მიიჩნევა უვადოდ. შესაბამისად, დაწესებულებას კანონის ძალით უკვე წარმოშობილი აქვს ამ თანამშრომლებთან გრძელვადიანი შრომითი ვალდებულება (საქართველოს შრომის კოდექსი მუხლი 12, „თუ განსაზღვრული ვადით შრომითი ხელშეკრულება დადებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველის გარეშე, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება“.). ამ მოცემულობის დოკუმენტურად ასახვა (ხელშეკრულებების განახლება) არ საჭიროებს 12-თვიან ვადას.

მეორე მხრივ, 1-თვიანი შრომითი ხელშეკრულებების პრაქტიკა საფრთხეს უქმნის დაწესებულების ინსტიტუციურ მდგრადობასა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას დეკლარირებული აქვს ზემოაღნიშნულ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე შეფასებული ადამიანური რესურსის შენარჩუნება გარანტირებული არ არის, რაც საეჭვოს ხდის შეფასების შედეგების რელევანტურობას მომდევნო თვეებისთვის. არსებული 1-თვიანი ხელშეკრულებები პირდაპირ წინააღმდეგობაშია თავად დაწესებულების წახალისების მექანიზმთან, რომელიც მინიმუმ 3-თვიან სამუშაო სტაჟს მოითხოვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი უფლებების დაცვის, პერსონალის სტაბილურობისა და საადმინისტრაციო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიცია 12-თვიანი საშეღავათო ვადის შესახებ არ იქნა გაზიარებული. შეფასება არ იცვლება და რჩება შეუსაბამოდ.

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის მიზანია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანამშრომელთა პროფესიული ზრდა მათი რეალური საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ინტერვიუებისა და პირადი საქმეების ანალიზი ადასტურებს, რომ ორგანიზაციას მართლაც აქვს დანერგილი პერსონალის განვითარების მექანიზმი. კერძოდ, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტზე დაყრდნობით, ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება და იქმნება შესაბამისი გეგმა, რომელიც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და უზრუნველყოფილია სათანადო ბიუჯეტით. ვინაიდან დაწესებულებას დოკუმენტურად აქვს გაწერილი თანამშრომელთა განვითარების სხვადასხვა გზა და შესაბამისი პროცედურები.

აქედან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა სრულად არის დაკმაყოფილებული.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

### 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაეწესებულების პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აღმზრდელებისა და სხვა თანამშრომლების ინიციატივები მიემართება ჯერ გამგესთან ხოლო ამის შემდეგ ბაღების მართვის ცენტრთან, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამშრომლების გადამზადებას. პერსონალის საჭიროებათა მოკვლევის და დაწესებულები მხრიდან დაგეგმილი ტრენინგების გარდა აუცილებელია გათვალისწინებული იყოს თავად თანამშრომლის ინიციატივები და სურვილებიც, რომელიც აუცილებლად თანხვედრაში უნდა იყოს სამუშაო აღწერილობასთან და ფუნქციამოვლევებთან. მოწოდებული პასუხისა და დოკუმენტური ბაზის ანალიზიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ინიციატივების წამოყენებას, ასევე ინიციატივების წახალისებას. ინიციატივები წახალისებულია მართვის ცენტრის მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის, სხვა მიღწევებისათვის დაწესებულია წახალისების სხვადასხვა ფორმები:

ა) დანამატი

ბ) მადლობის გამოცხადება

გ) დისციპლინარული სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა

დასაქმებულის გაწეული საქმიანობისთვის მართვის ცენტრის დირექტორის მიერ შესაძლებელია გამოეცხადოს მადლობა წერილობით, რომელიც შევა პირად საქმეში. დასაშვებია დასაქმებულის მიმართ რამოდენიმე სახის წამახალისებელი სახის გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. პერსონალის მართვის დოკუმენტი, ბრძანება N 873.24260632, 04.03.2026 წელი
2. შინაგანაწესი, ბრძანება N 873.2425161001, 10.06.2025 წელი
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ ბრძანება 873.24262869, 13.10.2025 წელი
4. ინტერვიუს შედეგები
5. ორგანოგრამა
6. პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები
7. პერსონალის პირადი საქმეები
8. ერგეტის ბალის სამოქმედო გეგმა (2026)
9. ა(ა)ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამუშაო ადგილების აღწერილობა (2026 წლის რედაქცია)

<b>შეფასება:</b>			
<b>4.1. პერსონალის მართვა და განვითარება</b>			
შეესაბამება <input type="checkbox"/>	მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/>	ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/>	არ შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/>



## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება 873. 2425202001 თარიღი: 21/07/2025 აღწერს მმართველობით, ძირითად და დამხარე პროცესებს.

მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა

ხარისხის უზრუნველყოფა

ძირითადი პროცესებია: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება , განხორციელება, შეფასება და განვითარება

ბავშვის რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა ამორიცხვა)

სსსმ ბავშვების მომსახურება

ოჯახთან და თემთან ურთიერთობა

დამხმარე პროცესებია: ადამიანური რესურსის მართვა

მატერიალური რესურსის მართვა

საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა)

პერსონალის და ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა

ფინანსური პროცესების მართვა

სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა

ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა

ყველა ზემოაღნიშნულ პროცეს ყავს მისი მფლობელი რომელთა ვინაობაც გაწერილია წესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....  
.....

რჩევა



.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულება პროცესებს უნდა მართავდეს ხარისხის ციკლის შესაბამისად და აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს პროცესის აღმწერებით. დაწესებულება პროცესებს მართავს ხარისხის ციკლის (დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გაუმჯობესება) დაყრდნობით. შესაბამისად დაწესებულების მიერ შერჩეული ხარისხის მართვის აღნიშნული პრინციპი ეყრდნობა ორ ძირითად პრინციპს. პროცესულ მიდგომას და პროცესის ფარგლებში ხარისხის ციკლის გავლას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 21 ივნისს დამტკიცებული ბრძანება №73. 2425202001. დოკუმენტში გაწერილია მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და თითოეული პროცესის აღმწერი; პროცესების შეფასება და ანალიზი განხორციელდება დოკუმენტებზე დაყრდნობით, რის შედეგადაც შემუშავდება რეკომენდაციები პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. ეს ქმნის საფუძველს, რომ მომავალში ბაღი შეძლებს სისტემურად განახორციელოს პროცესების მონიტორინგი და გააუმჯობესოს ისინი მიღებული შედეგების საფუძველზე. 2026 წლის 2 მარტის ბრძანებით N 73. 24260610001 აყვანილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც დახმარებას უწევს საბავაშვო ბაღებში საგანმანათლებლო პერსონალს და გამგეს. ხარისხის მართვის კოორდინატორი პროცესის შეფასებას განახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესების ან/და პროცესის მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. აღნიშნული დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუს დროსაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია  
.....  
.....

რჩევა



.....  
.....  
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება  
.....  
.....

### 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული ჰქონდეს ბავშვის ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდეელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 17 ივლისის N 873.242519812 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება N873.2426057001. დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, წესი არეგულირებს რეგისტრაციის და ჩარიცხვა/ამორიცხვის სისტემას, უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების (ყველასათვის) თანაბარ ხელმისაწვდომობას. ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები დაბადებიდან ზოგადი განათლების შესახებ “საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სწავლის დაწყებამდე. აღსაზრდელის ზედიზედ 10 სამუშაო დღის, ხოლო თვის პერიოდში 15 სამუშაო დღის განმავლობაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასი გამოუცხადებლობა წარმოადგენს რეგისტრაციის შეჩერების საფუძველს, ხოლო მომდევნო 5 სამუშაო დღეში აღსაზრდელის მშობლის მიერ გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში წარუდგენლობა, ამორიცხვის და რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

აღნიშნულიდან გამომდინარე კინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....  
.....  
რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

#### 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი მოითხოვს, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს პირადი საქმეების წარმოებისთვის დადგენილი წესი, რომელიც არეგულირებს პერსონალისა და ბავშვების პირადი საქმეების წარმოებას. დაწესებულებაში აღნიშნული წესის მიხედვით უნდა ხეობდეს პირადი საქმეების წარმოება. წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში პერსონალისა და ბავშვების პირადი საქმეების ხორციელდება დამტკიცებული შინაგანწესით. საბავშვო ბაღში ჩარიცხულ აღსაზრდელთა პირადი საქმეები დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ინახება ბაღში, მეორე კი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრში. ბავშვის მიღებისთვის აუცილებელი შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ჯანმრთელობის ცნობა;

გ) ბავშვის ორი ფოტოსურათი 3x4;

დ) მშობლ(ებ)ის პირადობის მოწმობის ასლი;

ე) მშობლის თანხმობა ბავშვისა და მისი პირადი მონაცემის დამუშავების შესახებ.

საჭიროების შემთხვევაში, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია;

ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვის შემთხვევებში შესაბამისი

სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა/რეკომენდაცია ბავშვის

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან/და შემდგომი ასაკობრივი განვითარებისთვის 6 წელზე ზევით სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მომსახურებით სარგებლობის საჭიროების შესახებ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრში დაქვემდებარებაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 06 მაისის N873.24251265 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ 07/04/2026 წლის N873.3436609716 ბრძანების დანართი N4 წარმოადგენს ნებართვის შაბლონს ბავშვის ფოტო/ვიდეო გადაღებისა და მისი საჯაროდ გამოქვეყნების

(ვებგვერდი, სოციალური ქსელი და სხვ.) შესახებ; კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების ფარგლებს გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებზე გაყვანის შესახებ; დანართი N5 მშობლის კითხვარი.

შექმნილია მშობლისა და დაწესებულებას შროის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება.

საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას სხვა დოკუმენტაციაც

დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს:

- ა) განცხადება;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 100)
- ე) ცნობა ფსიქო-ნარკოლოგიურ აღრიცხვიანობაზე;
- ვ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- ზ) ჯანმრთელობის ცნობები ტუბერკულოზზე, პარაზიტებსა და სოკოვან დაავადებებზე (მზარეულებისთვის, მზარეულის თანაშემწეებისთვისა და ძიებებისთვის);
- თ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა
- ი) დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლი;
- კ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, როგორც ბაღში მუშაობის დაწყებამდე გავლის შესახებ, ისე ავტორიზაციისთვის მზადების მიმდინარეობის პროცესში (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ლ) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**რეკომენდაცია**

.....

**რჩევა**

.....

**არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 17 ივლისის N 873.24251982 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2026 წლის 4 მარტის ბრძანება N873. 24260632
2. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღებში ბავშვის/აღსაზრდელოს რეგისტრაციისა და მიღება-ამორციხვის წესის დამტკიცების თაობაზე 2025 წლის 17 ივლისის N 873.242519812 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2026 წლის 26 თებერვლის ბრძანება N 873. 2426057001
3. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 21 ივლისის N 873.2425202001 ბრძანება, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
